

ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლება უცხო ქვეყნიდან
ჩამოსული მოსწავლისთვის

ნათია უღრელიძე
თამთა ჩაჩუა

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
(სკოლის მიმართულება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მომზადებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია უღრელიძე

თამთა ჩაჩუა

25.06.2019.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისთვის, თანადგომისა და რეკომენდაციებისთვის მადლობას ვუხდით ჩვენს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან თოდაძეს.

კვლევის ჩატარების პროცესში გაწეული დახმარებისათვის, გაწეული სამუშაოსა და რჩევებისთვის მადლობას ვუხდით ქალაქ თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის ადმინისტრაციას (რომელმაც მოგვცა უფლება, ჩაგვეტარებინა პრაქტიკის კვლევა), ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, არაქართულენოვანი სექტორის მეშვიდეკლასელ მოსწავლეებს.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს განათლების სფეროში არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას. ნაშრომის მიზანია, მკითხველს გააცნოს ბილინგვური სწავლების მაგალითი. კერძოდ, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სწავლება უცხო ქვეყნიდან (თურქეთიდან) ჩამოსული მოსწავლისთვის.

ნაშრომში წარმოდგენილია ჩატარებული პრაქტიკის კვლევის, არსებული ლიტერატურისა და ინტერვენციების საშუალებით დასახული პრობლემის გადაჭრის გზები.

ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც განხორციელდა განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ ქალაქ თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მე-7 კლასში. რამდენიმე თვის წინ თურქეთიდან ამ კლასში მოსწავლე გადმოვიდა. მან ქართული ენა საერთოდ არ იცოდა. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე ვერ ერთვებოდა საგაკვეთილო პროცესში. აღნიშნული პრაქტიკის კვლევის ძირითადი მიზანი იყო მოსწავლისათვის ქართული ენის ფლობის დონის გაუმჯობესება.

კვლევის პროცესში ხდებოდა გაკვეთილებზე დაკვირვება. გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელსა და დირექტორთან. მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად დაიგეგმა და განხორციელდა ინტერვენციები.

კვლევამ აჩვენა, რომ სწორად დაგეგმილი ინტერვენციებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია, შემსწავლელმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესოს ენობრივი კომპეტენცია.

საკვანძო სიტყვები: ბილინგვური სწავლება, ქართული ენა, ენის ფლობის დონე, სასწავლო პროცესში ჩართვა, სახელმწიფო/მეორე ენა.

Abstract

The paper discusses one of the important issues in the sphere of education. Its purpose is to familiarize the reader with an example of bilingual education and, namely, it is focused on Teaching Georgian as a State Language to Students from Foreign Countries (Turkey).

The paper demonstrates solutions to problems outlined through teaching practicum, a literature review and interventions.

The paper is a report of teaching practicum research carried out by students of master's degree program in educational administration in the seventh grade class of one of Tbilisi public schools. One of the pupils of the class was transferred from Turkey a few months ago. The pupil could not speak Georgian at all and could not get involved in the learning process. The teaching practicum research aimed at improving the pupil's Georgian language level.

The research process included a classroom observation. Qualitative research method was employed and in-depth interviews were taken from a Georgian language and literature teacher and a principal. As a result of analysis of obtained information, interventions were planned and carried out.

The research revealed that effectively planned interventions and modern teaching methods allow considerable improvement in language competence.

Keywords: Bilingual educations, the Georgian language, language level, learner involvement, state/second language.